



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

თავი 3

თავი 3. პროკურატურა

თავის შესრულების პროგრესი: 66% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის მესამე თავი, 1 მიზნად, 5 ამოცანად და 19 დამოუკიდებელ აქტივობად არის დაყოფილი და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიება და სისხლის სამართლის პოლიტიკა, პროკურატურის სისტემის გამჭვირვალობა, პროკურორების და პროკურატურის სისტემის გაძლიერება და ა.შ.

დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს საქართველოს პროკურატურის აქტიური თანამშრომლობა პროექტის სამუშაო ჯგუფთან, როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების დაზუსტების, ასევე ინფორმაციის მოწოდების პროცესში, რამაც, საბოლოოდ, სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესზე ეფექტიანი მონიტორინგის ჩატარების საშუალება მოგვცა და დაგვეხმარა წინამდებარე ანგარიშის შედგენაში.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: პროკურატურის საქმიანობის დამოუკიდებლობის გაზრდა, ღია, გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებული პროკურატურის სისტემის შექმნა, ინდივიდუალური პროკურორების საქმიანობის დამოუკიდებლობის გაზრდა და ა.შ. აღნიშნული კი, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტი უნდა იყოს. ამავე საკითხების მნიშვნელობაზე არაერთ საერთაშორისო თუ შიდა ანგარიშშია საუბარი.

ასევე საგანგებოდ უნდა მიეთითოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ამოცანის და საქმიანობის სამოქმედო გეგმის მიზანთან არარელევანტურობაზე, ისევე როგორც ამ საქმიანობის შესრულების გასაზომად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების ბუნდოვანებაზე, ფორმალურ ხასიათსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, არარელევანტურობაზეც, რამაც გამოიწვია კიდევ, პროკურატურის წარმომდგენლებთან შეთანხმებით არსებული ინდიკატორების გადახედვა და მასში გარკვეული კორექტირების შეტანა.

ანგარიშის ფარგლებში, შევისწავლეთ სამთავრობო სამოქმედო გეგმის მესამე თავთან დაკავშირებული რელევანტური საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია და გაირკვა, რომ აღნიშნული დოკუმენტი სამთავრობო სამოქმედო გეგმის ზოგიერთ ნაწილს ითვალისწინებს უცვლელად და მათ შორისაა სამოქმედო გეგმით 2016 წელს განსახორციელებელი აქტივობებიც. მისი ზოგიერთი ნაწილი წარმოდგენილია გარკვეული ცვლილებებით, ხოლო საერთოდ არ შეიცავს სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ისეთ ვალდებულებას, როგორცაა საქართველოს პროკურატურის ვალდებულება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობის და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლისა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნების თაობაზე. სამწუხაროდ, მისი არასაჭარობის გამო, ვერ მოხერხდა ამავე სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეფასება.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესაფასებლად წერილებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2017 წლის 4 სექტემბერს და 27 დეკემბერს, საპასუხო წერილები მივიღეთ. 2018 წლის 11 აპრილს, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, დამატებით ასევე მოგვეწოდა ინფორმაცია ცალკეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. ამას გარდა, სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესში გამოვიყენეთ საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული სამთავრობო სამოქმედო

გეგმის შესრულების ორწლიანი ანგარიში და საქართველოს მთავარი პროკურორის საპროკურორო საბჭოსადმი 2017 წლის 19 ივლისსა და 2018 წლის 8 თებერვალს წარდგენილი ანგარიში.

შეფასების შედეგად ირკვევა, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 19 აქტივობიდან: სრულად შესრულებულია - 9; ნახევარზე მეტი შესრულებულია - 3; ნახევარზე ნაკლები შესრულებულია - 3; არ არის შესრულებული - 4; ხოლო მთლიანად მესამე თავის შესრულების პროგრესი შეადგენს 64%-ს.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ამოცანა არ შეესაბამება ამავე გეგმის მიზანს - დამოუკიდებელი, სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პროკურატურის სისტემის შექმნის თვალსაზრისით. ისევე როგორც ზოგიერთი ამოცანის შესრულების მიზნით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ვერც ამოცანის შესრულებას და ვერც გეგმით დასახული მიზნის მიღწევას, რომ არაფერი ვთქვათ ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობის სრულად ან ნახევარზე ნაკლები მოცულობით შესრულებაზე, როგორცაა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე ანგარიშის გამოქვეყნება, პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვა, ეფექტიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით გავრცელებულ დანაშაულთა ანალიზი და სხვ.

აქვე დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს გეგმით გათვალისწინებული 19 აქტივობიდან მათი უმრავლესობის (12 აქტივობა) სრულად ან ნახევარზე მეტად შესრულება, მათ შორისაა: საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება, სასწავლო ცენტრის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ახალი ეთიკის კოდექსის მიღება, ტრენინგებისა და სხვადასხვა მიმართულებით ერთიანი პრაქტიკის დანერგვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები და სხვ.

1. ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის III თავის ზოგადი შეფასება

1.1. მესამე თავის შინაარსობრივი შენიშვნები - შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან და რეკომენდაციებთან

პროკურატურის რეფორმა ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი მიზანი პროკურატურის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს სამართლიან, ეფექტიან და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივ დევნას და ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაც იზიარებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას და სამოქმედო გეგმის მესამე თავს, 5 დამოუკიდებელი ამოცანის მეშვეობით, ამ მიზნის შესრულებას უთმობს.

სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიიდან და საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ხოლო საქართველოს პროკურატურის 2017 წელს მიღებული სტრატეგია, რომელიც 2017-2021 წლებს მოიცავს, ასევე უნდა იყოს ამ ვალდებულებების აღსრულების საშუალება. თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ სამთავრობო გეგმის მესამე თავი ბოლომდე არ პასუხობს არსებულ რეალობას და მასში ასახული ზოგიერთი აქტივობა არარელევანტურია სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებთან. ამასთან, სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამ თავით საერთოდ არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი საერთაშორისო ექსპერტისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციები, ისევე

როგორც ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული ზოგიერთი მიზანი პროკურატურის ინსტიტუციური გაძლიერების თვალსაზრისით. კერძოდ:

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია პროკურატურის რეფორმირებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროკურატურის საქმიანობის კონტროლის მექანიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დახვეწას, სისხლისსამართლებრივი დევნის დამოუკიდებლად განხორციელებასა და იძულებითი ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოყენებას. ჩამოთვლილი და სხვა ისეთი საკითხების აქტუალობაზე, როგორცაა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების შექმნა, პროკურატურის საქმიანობის დამოუკიდებლობა, ნებისმიერი არამართლზომიერი გავლენისგან დაცვის, მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით და ა.შ., ამახვილებს ყურადღებას თავის ანგარიშებში წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის კომიტეტი^[1], საქართველოს სახალხო დამცველი^[2]. აღნიშნულ საკითხებზე საუბარია ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კონსულტანტის, საერთაშორისო ექსპერტის, მეგი ნიკოლსონის მიერ 2017 წლის მარტში მომზადებულ ანგარიშშიც^[3], ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლის სტრატეგიის პროგრესის შესახებ. პროკურატურის რეფორმის გაგრძელება მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის, ნებისმიერი არამართლზომიერი გავლენისგან დაცვის, მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის მართლმსაჯულების სექტორის მოკლევადიანი პრიორიტეტი.

შესაბამისად, იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა შესულიყო 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში, შემდეგნაირად გამოიყურება:

- პროკურატურის საქმიანობის დამოუკიდებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გაზრდა;
- ღია, გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული პროკურატურის სისტემის შექმნა;
- ინდივიდუალური პროკურორის საქმიანობის დამოუკიდებლობის გაზრდა;
- სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პროკურატურის მხრიდან ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების შექმნა;

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო ცენტრის განვითარება და მისი ელექტრული ბიბლიოთეკითა თუ სხვა სპეციალური პროგრამებით აღჭურვა, პროკურატურის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული ვითარება და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზანი, დამოუკიდებელი, ეფექტიანი, სამართლიანი და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი დევნა, მხოლოდ სასწავლო ცენტრის გაძლიერებით და პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებით, ან/და პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვით არ მიიღწევა.

1.2. მესამე თავით გათვალისწინებული ამოცანების და აქტივობების რელევანტურობის, ეფექტიანობის და პრიორიტეტულობის შეფასება

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამთავრობო სამოქმედო გეგმის მესამე თავი მიზნად ისახავს პროკურატურის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დამოუკიდებლად განხორციელებს სამართლიან, ეფექტიან და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივ დევნას და ადამიანის უფლებათა დაცვაზე იქნება ორიენტირებული.

ამ თავის მიზანია, შეფასდეს, რამდენად რელევანტური, ეფექტიანი და პრიორიტეტულია

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები სამოქმედო გეგმის მიზანთან მიმართებით და პროკურატურის მხრიდან ყველა აქტივობის ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ხსენებული მიზნის მიღწევა.

პროკურატურის სისტემის გარე ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, არასამთავრობო ორგანიზაციათა და სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია საუბარი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით, მთავარი პროკურორის არჩევის მექანიზმი და მისი საპროკურორო საბჭოსადმი ანგარიშვალდებულება დაკანონდა. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ ჯერ კიდევ 2015 წლის 25 სექტემბერს გამოეხატა კანონმდებლობაში ასახულ ამ ცვლილებებს და თავის განცხადებაში აღნიშნა: „მიუხედავად მასში განხორციელებული რამდენიმე პოზიტიური ცვლილებისა, კანონპროექტით დასახული მიზანი - მოხდეს პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზირება - მიუღწეველია, რადგან ვენეციის კომისიის დასკვნის მიუხედავად წარმოდგენილი ცვლილებები არის ფრაგმენტული ხასიათის და ისინი არ ეხება ისეთ ძირეულ პრინციპებს, რამაც მომავალში უნდა უზრუნველყოს პროკურატურის სისტემის რეალური დამოუკიდებლობა“. სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არცერთი ამოცანა და მათი შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობები არ პასუხობს ამ გამოწვევას და არ უზრუნველყოფს საპროკურორო საქმიანობის დამოუკიდებლობას გარე ზეგავლენისაგან.

სამოქმედო გეგმის მიზანია გამჭვირვალე და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განსახორციელებელი მოქმედებების ნაწილში, და ამ მიზნის შესასრულებლად გათვალისწინებულია კიდევ კონკრეტული ამოცანა - პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება, თუმცა ამ ამოცანის შესრულების მიზნით გაწერილი აქტივობებიდან მხოლოდ ერთი (ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხობრივი და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება) გულისხმობს კონკრეტული შინაარსის ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას, ხოლო დანარჩენი აქტივობა ან ძალიან ზოგადი ხასიათისაა (მაგალითად, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება) ან საერთოდ არ ჯდება ამ ამოცანის მიზნებში (მაგალითად, რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესის დახვეწა).

სამოქმედო გეგმის 3.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ამოცანაა „დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიებისა და კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა“, მაშინ როცა თვით სამოქმედო გეგმის მიზანი მხოლოდ დამოუკიდებელი, სამართლიანი და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნაა და არა გამოძიება. ამასთან, ამ ამოცანის შესასრულებლად სამოქმედო გეგმაში შესული არცერთი აქტივობა არ უზრუნველყოფს გამოძიების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, ისევე როგორც გეგმაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებით უნდა მიიღწეს კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გეგმაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივობის ზოგადი ხასიათი (მაგალითად, პროკურორების გაძლიერება, პროკურორებისათვის სხვადასხვა თემაზე ტრენინგის ჩატარება). ასევე, ამ საქმიანობების შესაფასებლად გათვალისწინებული ინდიკატორების ბუნდოვანება და მათი ფორმალური ხასიათი, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი ინდიკატორების სიმცირე, რამაც გამოიწვია კიდევ სამუშაო ჯგუფის მიერ, პროკურატურის წარმომადგენლებთან ურთიერთშეთანხმებით, არსებული ინდიკატორების გადახედვა და მასში გარკვეული კორექტირების შეტანა.

1.3. მესამე თავთან დაკავშირებული სხვა რელევანტური სამოქმედო გეგმების შეფასება

ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოქმედების

პარალელურად, საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია, ხოლო მოგვიანებით შემუშავდა ამ სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია საჭაროა და განთავსებულია საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე, თუმცა, როგორც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, სამოქმედო გეგმა საჭარო არ არის და ის სამუშაო ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. შესაბამისად, შეუძლებელია შედარდეს სამთავრობო სამოქმედო გეგმითა და პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების ვადები.

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიის თანახმად, 2017-2021 წლებში, საქართველოს პროკურატურა აპირებს გადადგას ნაბიჯები პროკურატურის და პროკურორთა დამოუკიდებლობის გაზრდის, ცალკეული დანაშაულების (მათ შორის, ტრეფიკინგის, კორუფციული დანაშაულების, ტერორიზმის, ნარკოტიკული და კიბერდანაშაულების) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბების, საზოგადოების ნდობის ამაღლების, დანაშაულის პრევენციისა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობა 2016 წელს არის გაწერილი, ხოლო საქართველოს პროკურატურის სტრატეგია 2017-2021 წლებს მოიცავს, რის გამოც მათი ერთმანეთისთვის შედარება მხოლოდ 2017 წელს განსახორციელებელ აქტივობებთან დაკავშირებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის 2017 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებიდან, საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრატეგია შეიცავს იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებას,^[4] პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვას,^[5] პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის დანერგვას,^[6] პროკურორებისთვის სხვადასხვა თემაზე ტრენინგების ჩატარებას,^[7] და პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობის გაძლიერებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავების კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებს^[8]. განსხვავებული ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურების შესახებ^[9]. პროკურატურის სტრატეგიის თანახმად, იგეგმება არა ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურება, არამედ ასეთი საბჭოს შექმნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმით 2016 წელს შესასრულებელი ზოგიერთი ისეთი აქტივობა, როგორცაა შეფასების სისტემის დანერგვა, სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოსა და გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა, საქართველოს პროკურატურის 2017 წლის სტრატეგიაში, შესულია როგორც 2017-2021 წლებში განსახორციელებელი ღონისძიება.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს პროკურატურის სტრატეგია არ შეიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საქართველოს პროკურატურის ვალდებულებას ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობის და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლისა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურის სტრატეგიაში ადამიანის უფლებათა დაცვას ცალკე თავი ეთმობა.

შესაბამისად, ირკვევა, რომ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამთავრობო სამოქმედო გეგმა ერთმანეთთან შეუსაბამოა როგორც შინაარსობრივი, ასევე ცალკეული აქტივობის გარკვეულ ვადებში განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია ბევრად უფრო კარგად წარმოაჩენს სისტემაში დღეს არსებულ ვითარებას ადამიანის უფლებების დაცვის, საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიების ხარისხის ამაღლების, პროფესიული ეთიკის

სტანდარტების, პროკურატურის სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროკურატურისა და პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის და ინსტიტუციური განვითარების კუთხით, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისი ამოცანებით და მათი განხორციელების მიზნით გაწერილი აქტივობებით არის გათვალისწინებული.

3. რეკომენდაციები და წინადადებები

საქართველოს პროკურატურას:

1. გააანალიზოს გავრცელებული დანაშაულები და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის წარმართვის მიზნით, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
2. დროულად შეიმუშაოს და დანერგოს გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო და შეფასების სისტემა;
3. მოამზადოს და პროკურატურის თანამშრომლებს გააცნოს დევნის ალტერნატიული მექანიზმის - სრულწლოვანთა განრიდების ანალიზი;
4. მოამზადოს და გეგმის შესაბამისად, ყოველკვარტალურად გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხობრივი და შინაარსობრივი ანგარიში;
5. შეისწავლოს რიგითი პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების წესი, მის დასახვეწად, და შეიმუშაოს შესაბამისი ცვლილებები პროცედურაში;
6. განაგრძოს აქტიური მუშაობა პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის გამჭვირვალე სისტემის დასაანერგად, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად;
7. შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობის (გამოძიების მეთოდოლოგია, ეთიკის კოდექსი, შეფასების სისტემა) განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები;
8. ბიბლიოთეკა დამატებით აღჭურვოს ისეთი შინაარსის (მათ შორის, უცხოენოვანი) ლიტერატურით, რომელშიც განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის, დისკრიმინაციისა და პროკურატურის საქმიანობისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

^[1] _ ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის კომიტეტის ანგარიში, CPT/inf(2015)42. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/16806961f8>, ბოლოს ნანახია 13.01.2018.

^[2] _ საქართველოს სახალხო დამცველის 2014 და 2015 წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi>, ბოლოს ნანახია 13.01.2018.

^[3] _ ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, მეგი ნიკოლსონი, 2017 წელი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://ewmi-prolog.org/images/files/4919ReportonimplementationHumanRightsStrategyGEOEWMIUNDP.PDF>, ბოლოს ნანახია 18.01.2018.

^[4] საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა, 26.07.2016 წ. თავი 3, აქტივობა 3.1.1.6, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412>>, [ბოლოს ნანახია 07.03.2018].

^[5] იქვე, აქტივობა 3.1.3.1.

^[6] იქვე, აქტივობა 3.1.3.3.

^[7] იქვე, აქტივობა 3.1.4.1.

^[8] იქვე, ამოცანა 3.1.5.

^[9] იქვე, აქტივობა 3.1.2.3.

მიზანი 3.1. პროკურატურის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს სამართლიან, ეფექტიან და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივ დევნას და ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნება ორიენტირებული

მიზნის შესრულების პროგრესი: 66.85%

ამოცანა 3.1.1. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტური გამოძიება და კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 75.95%

აღნიშნული ამოცანა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და 6 აქტივობას აერთიანებს: პროკურორების გაძლიერება; გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვა; სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს გამოცემა; ცალკეულ დანაშაულთა თაობაზე და იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ რეკომენდაციების მომზადება და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი.

მიუხედავად ამოცანის დასახელებისა, მასში არ არის შესული დანაშაულის თაობაზე ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების გადახედვა არსებული კრიმინოგენური ვითარების გასაუმჯობესებლად, მით უმეტეს, რომ აღნიშნულის აუცილებლობაზე მიუთითებს თვით სამოქმედო გეგმა და საქართველოში მოქმედი არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორცაა: გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვა, სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს გამოცემა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი. მიგვაჩნია, რომ არცერთი მათგანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის - დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიებისა და კრიმინოგენური ვითარების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის - შესრულებას არ ემსახურება და არც სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მიზანს უკავშირდება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ შევავსეთ სამოქმედო გეგმის ამ ნაწილით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულება და გაირკვა, რომ 3 მათგანი: ცალკეულ დანაშაულებზე

რეკომენდაციების ანალიზების და რეკომენდაციების მომზადება, სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს მომზადება და პრაქტიკაში დანერგვა და იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება სრულად არის შესრულებული, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების თაობაზე პრაქტიკის ანალიზი ნახევარზე მეტი შესრულებულია, ხოლო 2 შემთხვევაში (პროკურორების გაძლიერება და გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დანერგვა) აქტივობის მხოლოდ 30-35%-ია შესრულებული.

აქტივობა 3.1.1.1. პროკურორების გაძლიერება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. გავრცელებული დანაშაულების ანალიზების მომზადება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. ანალიზები და რეკომენდაციები შემუშავებულია;
2. შემუშავებული ანალიზები და რეკომენდაციები ეხება გავრცელებულ დანაშაულებს;
3. გაცემული რეკომენდაციების და მომზადებული ანალიზების რაოდენობა.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 33%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის რაოდენობრივი, ხარისხობრივი და კალენდარული შეფასების მიზნით, საქართველოს პროკურატურას მივმართეთ შეკითხვით, თუ რომელ გავრცელებულ დანაშაულებზე მომზადდა ანალიზები და რეკომენდაციები 2016 წელს და სულ რამდენი იყო ასეთი რეკომენდაცია.

2017 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებულ წერილში აქტივობა 3.1.1.1. (პროკურორების გაძლიერება) და აქტივობა 3.1.1.3 (ცალკეულ დანაშაულთა შესწავლისა და პრობლემების გამოვლენის შედეგად რეკომენდაციების მომზადება

პროკურორებისთვის) გაერთიანებულია და მასში ჩამოთვლილია ის ანალიზები და მათ საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, რომელზეც იმუშავა პროკურატურამ 2016 წელს.

საკითხში სრულყოფილად გარკვევის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე მოვიძიეთ ინფორმაცია 2016 წლის დანაშაულის სტატისტიკის თაობაზე,^[1] რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ 2016 წელს საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანაშაულები იყო: დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (37%), ნარკოტიკული დანაშაული (14%), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (13%), სატრანსპორტო დანაშაული (9%), დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (6%) და დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (5%). სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულმა სხვა დანარჩენმა დანაშაულმა რეგისტრირებულ დანაშაულთა 16% შეადგინა.^[2]

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში კი, გავრცელებულ დანაშაულთა შორის მხოლოდ ძალადობის (ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) და ნარკოტიკული დანაშაულების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაზეა საუბარი, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ სამოქმედო გეგმაში მითითებული, 2016 წელს შესასრულებელი აქტივობის - გავრცელებულ დანაშაულებზე რეკომენდაციის მომზადების შესახებ - მხოლოდ ნახევარზე ნაკლები - 33%-ია შესრულებული, ვინაიდან ზემოთ დასახელებული 6 ყველაზე გავრცელებული დანაშაულიდან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ანალიზები და რეკომენდაციები მხოლოდ ორზეა მომზადებული.

^[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგისტრირებული დანაშაული, 2016 წელი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/2016/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-2016.pdf>, [ბოლოს ნანახია 08.01.2018].

^[2] იქვე, გვ. 6.

აქტივობა 3.1.1.2. გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვა

<p>პასუხისმგებელი უწყება:</p> <ul style="list-style-type: none">• პროკურატურა <p>ინდიკატორი:</p> <p>მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.</p> <p>სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:</p>
--

1. გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო გამოცემულია და დანერგულია პრაქტიკაში; საპროკურორო საქმიანობის/საპროცესო დოკუმენტების მონიტორინგი.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგია დამტკიცებულია და ხელმისაწვდომია ყველა პროკურორისა და გამომძიებლისათვის

2. ჩატარებულია ტრენინგი (გადამზადებული პროკურორების % პროკურორთა საერთო რაოდენობაში (შემუშავებულ გამოძიების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩატარდა ყველა პროკურორს)

3. თბილისი გარეთ სხვა ტერიტორიული ერთეულების პროკურორებიდან გადამზადებულ პროკურორთა წილი (გადამზადდა ყველა ტერიტორიული ერთეულის პროკურორი)

4. ყველა უწყების გამომძიებლებისთვის პროკურორების მიერ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და მონაწილეთა % შესაბამისი უწყების გამომძიებელთა საერთო რაოდენობიდან

5. თბილისის გარეთ სხვა ტერიტორიული ერთეულების გამომძიებლებიდან გადამზადებულ გამომძიებელთა წილი.

6. მეთოდოლოგიის შინაარსი შეესაბამება ამოცანასა და მიზანს

7. სახელმძღვანელო შეტანილია სასწავლო მოდულში.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

ხსენებული აქტივობის შეფასების მიზნით წერილით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და ვთხოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგია ხელმისაწვდომი ყველა პროკურორისა და გამომძიებლისათვის; რომელი ტერიტორიულ ორგანოს რამდენ პროკურორს ჩატარდა ტრენინგები; შევიდა თუ არა გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო სასწავლო მოდულში, თუ არა, როდის იგეგმება აღნიშნული. ამასთან ვითხოვეთ ინფორმაციას საგამომძიებლო უწყებების გადამზადებასთან დაკავშირებით, რათა შეგვეფასებინა სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვის მასშტაბურობა და იმ შემთხვევაში, თუ მათი გადამზადება დაწყებული არ იყო, როდის იგეგმებოდა მისი დაწყება და დასრულება.

მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო 2017 წლის სექტემბერში გამოიცა და ის ხელმისაწვდომია ყველა პროკურორისა და გამომძიებლისთვის, ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად. მისი პრაქტიკაში დანერგვა, ტრენინგის ჩატარება და გამომძიებლების გადამზადება კი, 2018 წლისათვის იყო დაგეგმილი, როდესაც სახელმძღვანელო შევა სასწავლო მოდულში და ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება.

რაც შეეხება მეთოდოლოგიის შესაბამისობას სამოქმედო გეგმის ამოცანებსა და მიზნებთან. სახელმძღვანელოს შინაარსის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ იგი შეიცავს ყველა იმ

საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების მეთოდოლოგიას, რომლის ჩატარების უფლებამოსილებაც პროკურორს და გამომძიებელს საქმის გამოძიების პროცესში გააჩნიათ (ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.). მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოში მითითებული საკითხების ზედმიწევნით შესრულება უზრუნველყოფს ამ მოქმედებების საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვითა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფით ჩატარებას და სახელმძღვანელო, მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდგომ, საგამოძიებო ორგანოებს კანონის მოთხოვნების დაცვაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად აქტივობა გეგმით გათვალისწინებულ ვადაში არ შესრულებულა. ვინაიდან სამოქმედო გეგმის თანახმად, 2016 წელს არა მარტო უნდა გამოცემულიყო მეთოდოლოგია, პრაქტიკაშიც უნდა დანერგილიყო, ასევე უნდა ჩატარებულიყო საპროცესო დოკუმენტების მონიტორინგი, სახელმძღვანელოს გამოცემისა და დანერგვის შედეგების შესაფასებლად. ამასთან, როგორც ირკვევა, სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვა ვერც 2017 წელს მოხერხდა, აღარაფერს ვამბობთ საპროცესო დოკუმენტების მონიტორინგზე, რომელიც საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ხსენებული აქტივობის მხოლოდ 30% - ნახევარზე ნაკლებია შესრულებული.

აქტივობა 3.1.1.3. ცალკეულ დანაშაულთა შესწავლისა და პრობლემების გამოვლენის იდენტიფიცირების შედეგად რეკომენდაციების მომზადება პროკურორებისთვის რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. რეკომენდაციები მომზადებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. რეკომენდაციები შემუშავებულია
2. რეკომენდაციები შეეხება ოჯახური ძალადობის, ცემა-წამების, არასათანადო მოპყრობის, თაღლითობის, კორუფციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.
3. გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

შეფასება

აქტივობის შესაფასებლად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს პროკურატურას, და გამოვითხოვეთ იმ კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა შესწავლა და რეკომენდაციის მომზადება განხორციელდა 2016 წელს, ასევე მათი საერთო რაოდენობა.

საქართველოს პროკურატურიდან 2017 წლის 27 დეკემბერს მიღებული წერილით ირკვევა, რომ 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის შესაბამისმა დეპარტამენტმა მოამზადა ანალიზები კორუფციული და ნარკოტიკული დანაშაულების, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების, ოჯახური ძალადობის, ქალთა მკვლელობების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ. ამასთან, ამ ანალიზებისა და სხვა აქტუალური საკითხების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის გამოძიების, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების, ტრეფიკინგის გამოძიების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გამოყენების, მოწმის დაკითხვა/გამოკითხვის წესის შესახებ. ასევე შემუშავდა რეკომენდაციები კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ბრალდებულთა მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების და საპროცესო შეთანხმებისას გამოსაყენებელი სარეკომენდაციო პირობების თაობაზე, გამოძიების მიმდინარეობის პროცესში შშმ პირთა დაცვის გარანტიებისა და მათი სპეციალური საჭიროებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და გამოძიების სტრატეგიის თაობაზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კვალიფიკაციის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

ამავე წერილის თანახმად, მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული ანალიზები და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები განკუთვნილია მხოლოდ შიდა სამსახურებრივი გამოყენებისათვის, არ არის საჯარო, რის გამოც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რატომ შეირჩა ანალიზისთვის ეს კონკრეტული თემატიკა, როგორია მისი შინაარსი და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანასთან შესაბამისობა.

მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მთავარმა პროკურატურამ 2016 წელს, იმ დროისათვის აქტუალურ საკითხებზე, არაერთი ანალიზი და რეკომენდაცია მოამზადა, რის გამოც ხსენებული აქტივობა სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

აქტივობა 3.1.1.4. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ანალიზი გაკეთებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. ანალიზი მომზადებულია არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციასთან და სრულწლოვანთა განრიდებასთან დაკავშირებით;

2. ანალიზების გაცნობა მოხდა არასრულწლოვანთა პროკურორებისათვის;

3. ანალიზების მომზადების პერიოდულობა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციასთან დაკავშირებით.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, წერილობით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. წერილში ვითხოვდით ინფორმაციას იმის შესახებ, მომზადდა თუ არა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციასთან და სრულწლოვანთა განრიდებასთან დაკავშირებით ანალიზები, დადებით შემთხვევაში - რამდენი და რა პერიოდში, და გაეცნენ თუ არა მომზადებულ ანალიზებს პროკურორები.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2017 წლის 27 დეკემბერს მიღებული [წერილით](#) ირკვევა¹⁹, რომ საქართველოს პროკურატურა 6 თვეში ერთხელ (წელიწადში ორჯერ) ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის მონიტორინგს და ამზადებს მონიტორინგის ანგარიშს განრიდების პროგრამისა და დევნადაწყვეტილი არასრულწლოვნების შესახებ. წერილის თანახმად, აღნიშნულ დოკუმენტში გაანალიზებულია როგორც სტატისტიკური მონაცემები, ასევე საქმეთა მონიტორინგის შედეგები, ხოლო მისი შედეგები პროკურორებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ჩატარებული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მიეწოდებათ. აღნიშნული მონიტორინგის ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შიდა სამსახურებრივი მიზნებისათვის და არ არის საჯარო, რის გამოც მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას შინაარსობრივად და ხარისხობრივად შევაფასოთ იგი, თუმცა თუ წერილს დავეყრდნობით, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციასთან დაკავშირებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ნაწილი სრულად არის შესრულებული, ვინაიდან გეგმა გულისხმობდა მხოლოდ ანალიზების მომზადებას, ხოლო საქართველოს პროკურატურის მიერ არა მხოლოდ მომზადდა ასეთი ანალიზი, არამედ ამ ანალიზით გამოვლენილი ხარვეზები გასაცნობად და შემდგომი გათვალისწინებისათვის, წარედგინათ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პროკურორებს. საქართველოს პროკურატურის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიებები ტარდება სრულწლოვანებისთვისაც. ამდენად, აქტივობა - სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი - სრულადაა შესრულებული.

^[1] იქვე

^[2] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://pc.gov.ge/block/index/465>>, [ბოლოს ნანახია 06.01.2018].

^[3] ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, 2018 წელი.

აქტივობა 3.1.1.5. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს გამოცემა სამართლებრივი წერის ერთიანი სტანდარტის დასანერგად

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო გამოცემულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო გამოცემულია
2. ჩატარებულია ტრენინგთა ტრენინგი
3. გადამზადებული პროკურორების % პროკურორთა საერთო რაოდენობაში
4. თბილისის გარეთ ტერიტორიული ერთეულების პროკურორებიდან გადამზადებულ პროკურორთა წილი

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესრულების შესაფასებლად, წერილით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ვითხოვდით, მოეწოდებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, გამოცემულია თუ არა სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო, ჩატარდა თუ არა ტრენინგთა ტრენინგი გამოცემულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით და რომელი ტერიტორიული ორგანოს პროკურორები გადამზადდნენ სამართლებრივი წერის საკითხებში.

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სახელმძღვანელო მომზადდა და გამოიცა 2016 წელს. იმავე წლის აპრილში ჩატარდა ტრენინგები ტრენინგი, ხოლო პროკურორთა გადამზადების პროცესი დაიწყო 2016 წლიდან და წერილის გამოგზავნის დროისათვის დასკვნით ეტაპზე იყო. ამავე წერილის თანახმად, 2016-2017 წლების მონაცემებით, სამართლებრივი წერის სახელმძღვანელოს ფარგლებში გადამზადება გაიარა 259-მა პროკურორმა და სტაჟიორ პროკურორმა, რაც პროკურორთა საერთო რაოდენობის 83%-ს შეადგენს. მათგან 81 პროკურორი თბილისს გარეთ ტერიტორიული ორგანოებიდან იყო (60%).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული აქტივობა სრულად არის შესრულებული.

აქტივობა 3.1.1.6. იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა
- ფინანსთა სამინისტრო

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სახელმძღვანელო შემუშავებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. სახელმძღვანელო შემუშავებულია;
2. სახელმძღვანელო შესულია სასწავლო მოდულში.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, წერილით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ვითხოვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როდის გამოიცა იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო, როდის იგეგმება მისი პრეზენტაცია და შევიდა თუ არა სახელმძღვანელო სასწავლო მოდულში.

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული [წერილის](#) თანახმად დგინდება, რომ სახელმძღვანელო შემუშავებულია და წერილის გამოგზავნის დროისათვის დაბეჭდვის პროცესშია, ზეპირი განმარტების თანახმად კი, სახელმძღვანელო სასწავლო მოდულში 2018 წლიდან შევა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმძღვანელო ჯერ გამოცემული და ანგარიშზე მომუშავე პირთათვის ხელმისაწვდომი არ არის, მისი შინაარსის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან შესაბამისობის შეფასება ვერ მოხერხდა, თუმცა ვინაიდან სამოქმედო გეგმა მხოლოდ სახელმძღვანელოს შემუშავებას ითვალისწინებდა, მიგვაჩნია, რომ გეგმაში მითითებული აქტივობა სრულად არის შესრულებული.

ამოცანა 3.1.2. პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

ხსენებული ამოცანის შესრულება სამთავრობო სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან თვით სამოქმედო გეგმის მიზანია გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად სამოქმედო გეგმა ოთხ აქტივობას აერთიანებს: საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარებას, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობა და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნებას. დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურებასა და რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესის დახვეწას.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან მხოლოდ ორი - ანგარიშების გამოქვეყნება და საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება - შეიძლება ჩაითვალოს პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ასამაღლებელ საქმიანობად, დანარჩენი ორი აქტივობა კი, სრულად შეუსაბამოა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამ ამოცანასთან, ვინაიდან ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურებაც და რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესის დახვეწაც, მხოლოდ შიდა უწყებრივი გამჭვირვალობის და ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ღონისძიებებია.

რაც შეეხება გეგმით გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების შესრულებას, შეფასების შედეგად გაირკვა, რომ ამოცანის მხოლოდ ნახევარია შესრულებული, ვინაიდან გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით რეალურად განსახორციელებელი ღონისძიებების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობა და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება - არ შესრულებულა, ხოლო საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა აქტივობები მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ ამოცანის შესრულებას.

აქტივობა 3.1.2.2. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობა და ხარისხობრივი/შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური

ანგარიშების გამოქვეყნება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. ანგარიშების გამოქვეყნების სიხშირე (კვარტალურად)
2. შესწავლილი საქმეების რაოდენობა
3. სტატისტიკის ანალიზი გაკეთებულია.
4. ანგარიში ასახავს საქმეების შინაარსობრივ მხარეს და გამოვლენილ ხარვეზებს

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, შესაბამისი წერილით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ვითხოვდით ინფორმაციას იმის შესახებ, მომზადდა და გამოქვეყნდა თუ არა კვარტალური ანგარიშები 2016 და 2017 წლებში და იგეგმება თუ არა აღნიშნული აქტივობის ყოველწლიურად განხორციელება. ამასთან, საქართველოს პროკურატურას ვთხოვეთ მოეწოდებინათ მომზადებული ანგარიშების ასლი ან ელექტრონული ვერსია, მათი შინაარსის შესაფასებლად.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2017 წლის 4 სექტემბერს მიღებული [წერილის](#) თანახმად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების კვარტალურ ანგარიშებზე ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშებში, რაც საჭაროა და ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე. ჩვენს განმეორებით შეკითხვაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, 2017 წლის 27 დეკემბრის წერილით გვეცნობა, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგები (სტატისტიკური და შინაარსობრივი მაჩვენებლები) ასახულია საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშებში, სადაც აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებს სპეციალური თავი ეთმობა. ამავე წერილის თანახმად, ანგარიში 6 თვეში ერთხელ წარედგინება საპროკურორო საბჭოს, იგი საჭარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს პროკურატურას დაევალა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის

სამართლის საქმეების რიცხოვნობრივი, ხარისხობრივი და შინაარსობრივი შესწავლა და კვარტალური (3 თვეში ერთხელ) ანგარიშების გამოქვეყნება. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებაა 6 თვეში ერთხელ მაინც, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით - დაუყოვნებლივ, პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ, მთავარი პროკურორის/მთავარი პროკურორის მოადგილის იმ ანგარიშის მოსმენა, რომელიც შეეხება დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკას, სტატისტიკურ მაჩვენებლებს, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს და ა.შ.^[1]

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული აქტივობის შესრულების შესაფასებლად, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე მოვიძიეთ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშები^[2]. გაირკვა, რომ მთავარი პროკურორის 2017 წლის 19 ივლისით დათარიღებულ ანგარიშში ერთი თავი დათმობილი აქვს არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.^[3]

ამდენად, მოძიებული ინფორმაციის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის - ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების რიცხოვნობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში არ შესრულებულა. მთავარი პროკურორის ანგარიში შეიცავს მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის მცირე ნაწილს და ქვეყნდება 6 თვეში ერთხელ, ხოლო საქმეებზე ხარისხობრივი და შინაარსობრივი ანგარიში საქართველოს მთავარ პროკურატურას ამ დრომდე არ გამოუქვეყნებია, რის გამოც ხსენებული აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

^[1] პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8¹ (5/დ), 18.09.2015წ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19090>>, [ბოლოს ნანახია 06.01.2018].

^[2] საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი ანგარიში თარიღდება 2016 წლის 30 მაისით და მოიცავს 2015 წლის 25 ნოემბრიდან 2016 წლის 30 მაისამდე პერიოდს, მეორე ანგარიში თარიღდება 2016 წლის 28 ნოემბრით და მოიცავს 2016 წლის 30 მაისიდან 28 ნოემბრამდე პერიოდს, ხოლო მესამე ანგარიში დათარიღებულია 2017 წლის 19 ივლისით და მოიცავს 2016 წელსა და 2017 წლის პირველ ნახევარს, ანუ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდს.

^[3] ანგარიშის თანახმად, 2016 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 184 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 10 პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 144¹ მუხლით (წამება) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, სსკ-ის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) - 4 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) - 5 პირის მიმართ; 2017 წლის 6 თვეში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 99 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 8 პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 7 თანამშრომლის მიმართ, სსკ-ის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) - პოლიციის 1 თანამშრომლის მიმართ. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი, გვ. 51, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://pc.gov.ge/block/index/465>>, [ბოლოს ნანახია 06.01.2018].

აქტივობა 3.1.2.3. დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ადგილობრივი საბჭოების სხდომების რაოდენობა. ბრიფინგების რაოდენობა.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. სხდომების ინტენსივობა (მინიმუმ 6 თვეში ერთხელ)
2. განხილული საკითხების თემატიკა და აქტუალობა.
3. ჩატარებული სხდომების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად წერილით მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. ვითხოვდით ინფორმაციას 2016 წლის იანვრიდან 2017 წლის 31 ოქტომბრამდე დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოს სხდომათა რაოდენობისა და განხილული საკითხების შესახებ, ასევე ვთხოვეთ მოეწოდებინათ ადგილობრივი საბჭოების სხდომის ოქმები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული არცერთი წერილი არ შეიცავს ინფორმაციას ამ აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წლის მარტში საქართველოს პროკურატურაში დაიწყო ახალი პროექტი „ადგილობრივი საბჭოები“, რომელიც წარმოადგენს რეგიონულ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს. საბჭოში გაწევრიანებულნი არიან სამართალდამცავი

ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ინიციატივების შემუშავება, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა.

ამავე ანგარიშის თანახმად, 2016 წელს ადგილობრივი საბჭოს სხდომები ჩატარდა სხვადასხვა ქალაქებში, სადაც შეხვედრის მონაწილეებს, რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, მიეწოდათ ინფორმაცია ადგილობრივი საბჭოს ფუნქციებისა და მიზნების შესახებ, ასევე წარედგინათ მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული კვლევები ოჯახში ძალადობისა და 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის თემებზე. საბჭოს ფარგლებში რაიონებში არაერთი პრევენციული ღონისძიება გაიმართა, რომელშიც სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლების გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც.^[1]

2017 წელს გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 14 სხდომა: ქუთაისში, მცხეთაში, სამტრედიიაში, თბილისში, თელავში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში. თბილისში გამართულ სხდომებზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები განიხილეს, ხოლო სხვა სხდომებზე - ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები. ამასთან, ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ მომზადდა წლიური ანგარიში, რომელიც საკონსულტაციო საბჭოს 2017 წლის 28 დეკემბერს წარედგინა.^[2]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ხსენებული აქტივობა სრულად არის შესრულებული.

^[1] ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, 2018 წელი, გვ. 23.]

^[2] საქართველოს პროკურატურის ანგარიში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის მესამე თავის შესრულებაზე, გვ. 8, 2018 წლის თებერვალი.

აქტივობა 3.1.2.4. რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესის დახვეწა

<p>პასუხისმგებელი უწყება:</p> <ul style="list-style-type: none">• პროკურატურა <p>ინდიკატორი:</p> <p>მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.</p>

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. შესაბამისი პროცედურა გადახედილია, ცვლილებები განხორციელებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. მომზადებულია ანალიზი

2. მომზადებული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურაში არსებული ხარვეზები,

3. შემუშავებულია დანიშვნის და დაწინაურების ახალი წესი, რომელიც ხარისხობრივი თვალსაზრისით შეესაბამება მიზანს, დაწინაურებისა და დანიშვნის კრიტერიუმები მკაფიოდაა გაწერილი კანონში/კანონქვემდებარე აქტში.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აქტივობის შესაფასებლად, წერილობითი შეკითხვებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ვთხოვდით მოეწოდებინათ ინფორმაცია, განხორციელდა თუ არა ცვლილებები რიგითი პროკურორის დანიშვნისა და დაწინაურების წესთან დაკავშირებით. ასევე ვითხოვდით მოეწოდებინათ შესაბამისი ნორმატიული აქტის ასლი და მთავარი პროკურორის ის ბრძანება, რომელიც არეგულირებდა საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირებას და უფლებამოსილებას.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული არც ერთი წერილი არ შეიცავს ინფორმაციას ამ აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის 2016 წლის 19 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, პროკურატურის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, პროკურატურის მუშაკთა დაწინაურების საკითხის განსახილველად, შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო. საკონსულტაციო საბჭომ უკვე განიხილა რამდენიმე პირის დაწინაურების საკითხი და მთავარ პროკურორს მიაწოდა კონკრეტულ პირთა დაწინაურების რეკომენდაცია, რაც მთავარმა პროკურორმა სრულად გაიზიარა. ამავ ანგარიშის თანახმად, საქართველოს პროკურატურის 2017-2018 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია ამ მიმართულებით ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც მეტ სიცხადეს შეიტანს პროკურორთა მიღების წესში.¹⁰

ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ საპროკურორო საბჭოსადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის თაობაზე, მათ შორის დაწინაურებულ, დათხოვნილ და დაქვეითებულ პროკურორთა შესახებ, რომლის თაობაზეც დეტალურად ვისაუბრებთ აქტივობა 3.1.3.3-ის შეფასების დროს.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შუალედური ანგარიშის განხილვის შემდგომ მოწოდებული ინფორმაციით კი გაირკვა, რომ სტაჟირების კონკურსის გარეშე, რიგითი პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების წესის დასახვეწად, ამჟამად შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა.

შესაბამისად, ირკვევა, რომ 2016 წლის ბოლოსათვის სამოქმედო გეგმით

გათვალისწინებული აქტივობა არ შესრულებულა, კერძოდ: არ გადაუხედავთ რიგითი პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების არსებული პროცედურისთვის და არც ამ საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში შეუტანიათ ცვლილებები. ასევე ბუნდოვანია, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით იღებს საკონსულტაციო საბჭო გადაწყვეტილებას კონკრეტული პროკურორების დაწინაურების ან/და დაქვეითების შესახებ, ვინაიდან მთავარ პროკურატურას საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი არ მოუწოდებია და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ასეთი რეგულაცია საერთოდ არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში ეს საკითხი სწორედ საქართველოს სახალხო დამცველისა და ბოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებათა გათვალისწინებით მოხვდა.

^[1] ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, 2018 წელი, გვ. 36.

აქტივობა 3.1.2.1. საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
2. „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა;
4. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა რაოდენობა.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ან შესაბამისი თავი გათვალისწინებულია პროკურატურის ერთიან სტრატეგიასა და გეგმაში
2. სტრატეგია და გეგმა ასახავს ანგარიშგების ვალდებულების ნაწილს. ასევე იმას, თუ რა

სიხშირით არის პროკურატურა ვალდებული წარადგინოს ანგარიში საზოგადოებისა და საპროკურორო საბჭოს წინაშე

3. სტრატეგია და გეგმა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, კერძოდ:

ა) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონთან;

ბ) საპროკურორო საბჭოს დებულებასთან;

გ) მთავარი პროკურატურის დებულებასთან

4. „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა და მისი შესაბამისობა ამოცანასთან და მიზანთან.

5. საზ. ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა და მისი შესაბამისობა მიზანთან და ამოცანასთან.

6. ღონისძიებების ბენეფიციარების რაოდენობა და კატეგორია (მოწყვლადი ჯგუფები, არასრულწლოვანები)

7. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა რაოდენობა (რამდენ მოწმეს შეხვდა, რა სიხშირით).

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის გაგზავნილი წერილით ვითხოვდით ინფორმაციას აქტივობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, საქართველოს პროკურატურამ 2017 წლის 27 დეკემბერს [გვაცნობა](#), რომ „საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში 2016 წელს ჩართული იყო 20 რაიონული პროკურატურა, რომელთა უშუალო ორგანიზებით განხორციელდა 178 ღონისძიება, მათ შორის 149 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 7 კულტურული, 12 სპორტულ-გამაჯანსაღებელი შინაარსის. ასევე მოეწყო სხვადასხვა სახის 10 სოციალური აქცია და „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კვირეული“, რომლის ფარგლებშიც პროკურორებმა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საჯარო სკოლებში ჩაატარეს ლექცია-სემინარები არასრულწლოვანთა შორის გავრცელებული და ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 6166 პირმა“.

წერილის თანახმად, 2017 წელს პროექტის სამოქმედო არეალი გაფართოვდა და დაემატა 8 რაიონული პროკურატურა, შედეგად, პროექტში ამ დროისათვის ჩართულია 28 რაიონული პროკურატურა.

სამწუხაროდ, იმ აქტივობასთან დაკავშირებით, რომელზეც პროკურატურა საუბრობს, სხვა ინფორმაცია არ მოგვწოდებია, თუმცა სამუშაო ჯგუფისათვის ცნობილია, რომ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია⁽¹⁾ ცალკე საკითხად მოიაზრებს საზოგადოების ნდობის ამაღლებას, რომელიც გულისხმობს: მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, პროკურატურის ვებგვერდის განახლებას, კოორდინატორების სამსახურის

მოდერნიზაციას, მოქალაქეებთან კომუნიკაციის დოკუმენტებისა და ელექტრონული პროგრამის შემუშავებას და სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას. ზემოთ ხსენებული დოკუმენტი მოიცავს საქართველოს პროკურატურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხას, ასევე, პროკურატურის ვალდებულებას, პროაქტიულად მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია როგორც დანაშაულის სტატისტიკის, ასევე მათ საფუძველზე ჩატარებული ანალიტიკური კვლევების შესახებ.

რაც შეეხება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ განხორციელებულ აქტივობებს, ამის თაობაზე მწირი ინფორმაციის მოძიება მხოლოდ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშიდან მოხერხდა, რომლის თანახმადაც, 2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით 13683-მა მოქალაქემ ისარგებლა.^[2]

შესაბამისად, მიღებული და ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული აქტივობა სრულად არის შესრულებული, ვინაიდან:

- საქართველოს პროკურატურის სტრატეგია ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს და ის შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას;
- სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში არაერთი საგანმანათლებლო, სოციალური თუ ინტელექტუალური ღონისძიება გაიმართა;
- მოწმისა და დაზარალებულთა კოორდინატორები აქტიურად საქმიანობენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

^[1] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია, 2017 წელი, გვ. 43, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <<http://pog.gov.ge/res/docs/saqartvelosprokuratuirsstrategia.pdf>>, ბოლოს ნანახია 06.01.2018.

^[2] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი, გვ. 66, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://pc.gov.ge/block/index/465>>, [ბოლოს ნანახია 06.01.2018].

ამოცანა 3.1.3. კონტროლის ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც მიუკერძოებელი და ეფექტიანი საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს

ამოცანის შესრულების პროგრესი: 64%

პროკურატურის თანამშრომელთა მიუკერძოებელი, სამართლიანი და ეფექტიანი საქმიანობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების მხრიდან პროკურორთა მიმართ ნდობას. ამ ამოცანის შესასრულებლად სამოქმედო გეგმა სამი აქტივობით შემოიფარგლება და პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვას, ახალი ეთიკის კოდექსის მიღებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის დანერგვას მოიცავს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს ამოცანა პროკურატურის სისტემის რეფორმის მიმდინარეობაზე დაკვირვების შედეგია, ვინაიდან ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მეოთხე რაუნდის ანგარიშში^[1] კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების არაპროპორციულობა დისციპლინურ

გადაცდომებთან მიმართებით, ხარვეზად მიიჩნევა. ამის გამო GRECO-ს რეკომენდაციაა, გადაიხედოს პროკურორთა დისციპლინირების არსებული რეჟიმი, მათ შორის, უფრო კონკრეტულად განისაზღვროს დისციპლინური დანაშაულები და უზრუნველყოფილი იქნეს სანქციების პროპორციულობა. გასათვალისწინებელია ამავე ანგარიშში მოხსენიებული პროკურორთა ეთიკის კოდექსი და ექსპერტთა რეკომენდაცია, განახლდეს მასზე მუშაობა, გაეცნოს ის ყველა პროკურორს და დოკუმენტი საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი.

ეთიკის კოდექსის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კონსულტანტი, საერთაშორისო ექსპერტი მეგი ნიკოლსონი, მის მიერ 2017 წლის მარტში მომზადებულ ანგარიშში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ, სადაც ექსპერტი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს პროკურატურას უახლოეს მომავალში დაამტკიცოს ეთიკის კოდექსი, რომელიც უკეთ განმარტავს დისციპლინური დევნის სისტემას. ამასთან, ექსპერტის აზრით, ეთიკის კოდექსი მუდმივად უნდა ახლდებოდეს, ფართოდ უნდა გავრცელდეს პროკურორებში და მოჰყვეს პრაქტიკული ღონისძიებები მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად.^[1]

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში საქართველოს პროკურატურის მიმართ გაკეთებული შეფასება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის მხრიდან განცხადებათა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაზე იწყება სამსახურებრივი შემოწმება, ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული შემოწმების დაწყების კრიტერიუმები. გენერალური ინსპექციის სარეკომენდაციო ბარათი კი, შეიძლება დასაბუთების გარეშე არც გაიზიაროს პროკურატურის თანამშრომელთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველმა საკონსულტაციო საბჭომ და პირს არ დაეკისროს პასუხისმგებლობა. საქმის დასრულების შემდეგ განმცხადებელს ასევე არ მიეწოდება ინფორმაცია, რაც სახალხო დამცველის აზრით, პრობლემაა. ამასთან, სახალხო დამცველი იძლევა რეკომენდაციას საქმისწარმოების გამჭვირვალობის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის, ასევე მნიშვნელოვანია სამსახურებრივი შემოწმების სტატისტიკის პერიოდული გამოქვეყნება და ვებგვერდის ორგანიზება განმცხადებლისთვის მარტივად გამოსაყენებლად.^[2]

სწორედ ზემოაღნიშნული რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულების თვალსაზრისით შეფასდა პროკურატურის მიერ განხორციელებული აქტივობები კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების კუთხით და გაირკვა, რომ მათგან მხოლოდ ერთი აქტივობა - ეთიკის კოდექსის მიღება შეიძლება მივიჩნიოთ შესრულებულად, ხოლო დანარჩენი ორიდან - ერთი ნახევარზე მეტი (გამჭვირვალე დისციპლინური პასუხისმგებლობის დანერგვა), ხოლო მეორე (პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვა) - ნახევარზე ნაკლებია შესრულებული.

^[1] GrecoEval4rep (2016)2, 2017 წლის იანვარი, გვ. 57, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rm.coe.int/16806dc116>, [ბოლოს ნანახია 10.01.2018].

^[2] ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, 2017 წლის მარტი, გვ. 21. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://ewmi-prolog.org/images/files/4919ReportonimplementationHumanRightsStrategyGEOEWMIUNDP.PDF>>, [ბოლოს ნანახია 10.01.2018].

^[3] საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგები, დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან

საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ. თბილისი, 2017 წელი, გვ. 7, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4923.pdf>, [ბოლოს ნანახია 10.01.2018წ.].

აქტივობა 3.1.3.1. პროკურორთა შეფასების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. შეფასების სისტემა დანერგილია;
2. შეფასებულ პროკურორთა რაოდენობა.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები შემუშავებული და დამტკიცებულია
2. კრიტერიუმები შეესაბამება საპროკურორო საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს (საქმეების რაოდენობა, დევნის დაწყება, არ დაწყება და შეწყვეტა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება, განრიდება, განხილული საჩივრები, საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა, სააპელაციო სხდომები და ა.შ.)
3. შეფასებულ პროკურორთა % პროკურორთა საერთო რაოდენობიდან;
4. შეფასების შედეგები: დაწინაურებულ, ჩამოქვეითებულ და სამსახურიდან გათავისუფლებულ პროკურორთა % პროკურორთა საერთო რაოდენობიდან.

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 40%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

იმის გათვალისწინებით, რომ აქტივობა შეფასების სისტემის არა მხოლოდ შექმნას, არამედ დანერგვასაც ითვალისწინებდა, აქტივობის შესაფასებლად, წერილობით მიგმართეთ

საქართველოს მთავარ პროკურატურას და ვთხოვეთ მოეწოდებინათ ინფორმაცია როგორც პროკურორთა შეფასების კრიტერიუმებზე, ისე ახალი სისტემით შეფასებულ პროკურორთა რაოდენობასა და შესაბამის შედეგებზე, დაწინაურებულ, ჩამოქვეითებულ ან გათავისუფლებულ პროკურორთა შესახებ.

2017 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული [წერილით](#) გვეცნობა, რომ პროკურორთა შეფასების სისტემა, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა, განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, ხოლო 2017 წლის 27 დეკემბრის წერილით დამატებით შეგვატყობინეს, რომ პროკურორთა შეფასების პროცესი დაწყებულია და პირველადი შედეგები 2018 წლის პირველ კვარტალში შეჯამდება.

შესაბამისად, ირკვევა, რომ სამოქმედო გეგმის ამ ნაწილში, შესრულებულია აქტივობის ნახევარზე ნაკლები. კერძოდ: შემუშავდა და მთავარმა პროკურორის დაამტკიცა პროკურორთა [შეფასების სისტემა](#), რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება საპროკურორო საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროკურორები შეფასდებიან როგორც საპროცესო ხელმძღვანელობის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, ასევე, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, დისციპლინის, ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგების, მოხალისეობრივი საქმიანობისა და აქტივობების მიხედვით. დოკუმენტის ავტორთა აზრით, შეფასების სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, პროკურორთა წახალისების, დისციპლინური სახდელის დადების, დაწინაურების სისტემის გამჭვირვალობას, პროკურორთა მოტივაციის ამაღლებას. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეფასების პროცესი გამოავლენს საქმიანობის იმ მიმართულებებსაც, რომლებიც საჭიროებს ხარისხის გაუმჯობესებას და ამ მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარებას.¹¹

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის ბოლოსათვის არცერთი პროკურორის შეფასების პროცესი არ არის დასრულებული და, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პროცესი დაწყებულია, არ არსებობს მონაცემები ამგვარი შეფასების შედეგად დაწინაურებულ, ჩამოქვეითებულ ან სამსახურიდან გათავისუფლებულ პროკურორთა რაოდენობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ რადგან შეფასების სისტემის შექმნა ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების მხოლოდ 40%-ს შეადგენს, ამ აქტივობის ნახევარზე ნაკლებია შესრულებული.

¹¹ იქვე, გვ. 2.

აქტივობა 3.1.3.2. პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსის მიღება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ეთიკის კოდექსი მიღებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. ეთიკის კოდექსი მიღებულია;

2. წინა კოდექსთან შედარებით ახალი ეთიკის კოდექსის ნორმები გაუმჯობესებულია;

3. ახალი ეთიკის კოდექსი შესაბამისობაშია ამოცანასა და მიზანთან.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

სამთავრობო სამოქმედო გეგმის ეს ნაწილი 2016 წელს პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსის მიღებას ითვალისწინებდა. რადგან შესრულების ინდიკატორად მხოლოდ ეთიკის კოდექსის მიღება იყო მითითებული, სამუშაო ჯგუფმა დააზუსტა აღნიშნული ინდიკატორები და გარდა ეთიკის კოდექსის მიღებისა, შეფასებისას ასევე გავითვალისწინებთ იმას, რამდენად არის გაუმჯობესებული ახალი ეთიკის კოდექსი და რამდენად შეესაბამება ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს.

საქართველოს პროკურატურიდან [მიღებული ინფორმაციით](#) ირკვევა, რომ მიუხედავად ამ აქტივობის 2016 წელს შესრულების ვალდებულებისა, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსი^[1] საქართველოს იუსტიციის მინისტრმა 2017 წლის 25 მაისის N234 ბრძანებით დაამტკიცა. ამავე ბრძანებითვე ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2006 წლის 19 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული მანამდე მოქმედი „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი“.^[2]

ძალადაკარგული და მოქმედი ეთიკის კოდექსების შედარებით დგინდება, რომ განსხვავებით ძველი ეთიკის კოდექსისაგან, ახალი ეთიკის კოდექსი შეიცავს ვალდებულებებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თაობაზე, საგანგებოდ მიუთითებს პროკურატურის მუშაკის მხრიდან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების დაუშვებლობაზე; კრძალავს არა მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციის, არამედ სხვა კონფიდენციალური ანდა არასაჯარო ინფორმაციის გამჟღავნებას და არასამსახურეობრივი მიზნებისთვის გამოყენებას, პროკურატურის თანამშრომელს ავალეებს ღირსეულად მოიქცეს სამსახურეობრივი საქმიანობის მიღმაც და გაუფრთხილდეს პროკურატურის რეპუტაციას და სახელს, ასევე, მის მიერ ინტერნეტსივრცეში განხორციელებული ქმედებები იყოს კორექტული და თავისი შინაარსით არ შეეწინააღმდეგოს ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებს. ამასთან, დღეისათვის მოქმედი ეთიკის კოდექსი, განსხვავებით ძალადაკარგულისაგან, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და სახეებს განსაზღვრავს, რაც ამ პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

მოქმედი ეთიკის კოდექსის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ განსხვავებით ძალადაკარგულისაგან, არ შეიცავს პროკურორის ვალდებულებას კანონთან ერთად, დაემორჩილოს სასამართლო პრაქტიკას, შიდაუწყებრივ მითითებებს და ზოგად საჯარო ინტერესს; თავი შეიკავოს რელიგიური მრწამსის საჯაროდ გამოხატვისაგან, თუ ეს ლახავს სხვა ადამიანთა უფლებებს, არ გამოიყენოს სამსახურეობრივი ქონება არასამსახურეობრივი მიზნებით და ამ ქონების დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი, თუმცა აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის შესრულების პროგრესზე არ აისახება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ეთიკის კოდექსის დაგვიანებით მიღებისა, ის სრულად პასუხობს საქართველოს პროკურატურის წინაშე მდგარ ამოცანებს და თანამედროვე ტენდენციებს, ასევე, ექსპერტთა რეკომენდაციებს. მასში დეტალურად არის აღწერილი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ახლებურად არის დარეგულირებული და სრულად შეესაბამება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ხსენებული აქტივობა სრულად არის შესრულებული.

^[1] საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, 2017 წლის 25 მაისი, თბილისი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <<https://matsne.gov.ge/ka/document/download/3679145/0/ge/pdf>>, [ბოლოს ნანახია 10.01.2018].

^[2] საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, 2006 წლის 12 ივნისი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <<https://matsne.gov.ge/ka/document/download/65056/0/ge/pdf>>, [ბოლოს ნანახია 10.01.2018].

აქტივობა 3.1.3.3. პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემა დანერგილია;

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. დანერგილია დისციპლინური პასუხისმგებლობის იმგვარი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას კოლეგიალურად;

2. შემუშავებული სისტემა უზრუნველყოფს ობიექტური და მიუკერძოებელი სამართალწარმოების გამართულ ფუნქციონირებას. მათ შორის: მექანიზმი უზრუნველყოფს გამჭვირვალე სისტემას პროკურორებისათვის და მათთვის შესაძლებლობის მიცემას, წარადგინონ საკუთარი პოზიცია მათ მიერ ჩადენილი შესაძლო გადაცდომის შესახებ;

3. რეაგირების განხორციელების შემთხვევაში გამოყენებული ღონისძიებების სახე და რაოდენობა.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, წერილობით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოვითხოვეთ ინფორმაცია 2016-2017 წლებში პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის დასაანერგად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ; ასევე, თუ როდის დაინერგა საკონსულტაციო საბჭო^[1] და რამდენი საქმე განიხილა მან შექმნის დღიდან 2017 წლის 31 ოქტომბრამდე; დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების შემთხვევაში რა სახის ღონისძიებები გამოიყენეს 2016 და 2017 წლებში (2017 წლის 31 ოქტომბრამდე) და რამდენი ასეთი რეაგირება მოჰყვა შემოსულ განცხადებებს.

ამ მიმართულებით შესრულებული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციას შეიცავს ანგარიში, რომელიც საქართველოს მთავარმა პროკურორმა 2017 წლის ივლისში საპროკურორო საბჭოს წარუდგინა.^[2]

ანგარიშიდან ირკვევა, რომ საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს მთავარმა პროკურორმა, საკონსულტაციო საბჭოს ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.^[3]

ანგარიშიდან და პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკონსულტაციო საბჭო საქართველოს პროკურატურაში ჯერ კიდევ 2016 წლის დასაწყისში შეიქმნა და მან არაერთი პროკურორის დისციპლინური დასჯის, წახალისებისა თუ დაწინაურების საკითხი განიხილა. თუმცა ამავე ანგარიშიდან ძნელია იმის გარკვევა, თუ რა სახის ინფორმაციაზე რეაგირებას მოჰყვა აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება, ანდა გარდა საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა, რომელში მონაწილეობის უფლებაც თვით დამრღვევ პროკურორსაც შეუძლია, რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს პროკურატურაში პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალე სისტემის შესაქმნელად.

აქვე, დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსში“ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამატება, რასაც წინა ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებით, დარღვევების შემთხვევაში გამოსაყენებელი დისციპლინური გადაცდომის საფუძვლისა და სახის შესახებ, უფრო მეტი სიცხადე შეაქვს.^[4]

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქმედო გეგმაში აღნიშნული აქტივობის მითითება სახალხო დამცველის შეფასებით იყო განპირობებული, რომელიც დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამჭვირვალეობაში საზოგადოების წინაშე, გულისხმობდა როგორც ინფორმაციის მიღებას, ისე სტატისტიკის პერიოდულ გამოქვეყნებას, განმცხადებლისათვის ვებგვერდის ორგანიზებით. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე

აქტივობის თაობაზე ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხსენებული აქტივობის ნახევარზე მეტი - 60% შესრულებულია, ვინაიდან ამოცანა და შესაბამისი რეკომენდაციები პროკურორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე გამჭირვალე სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობდა და ამ კუთხით საქართველოს პროკურატურის მხრიდან არაფერი გაკეთებულა.

^[1] საკონსულტაციო საბჭოს არსებობის თაობაზე ინფორმაცია მოგვეწოდა პროკურატურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=849, [ბოლოს ნანახია 10.01.2018].

^[2] მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ 2016 წელსა და 2017 წლის პირველ ნახევარში პროკურატურის 181 მუშაკის მიმართ 97 სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა. დისციპლინური სახდელი დაეკისრა 37 თანამშრომელს, სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაცია გაეგზავნა 70 თანამშრომელს, 17 თანამშრომელი, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა პროკურატურის სისტემიდან, ხოლო 2 თანამშრომელი გადაიყვანეს უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე. ამავე პერიოდში გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 27 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა - 7 პირის მიმართ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განარიდეს 1 პირი, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 19 პირის (3 ადვოკატის, 10 მოქალაქის, 1 პროკურატურის მრჩევლის, 1 ყოფილი პროკურორის, 1 საჯარო რეესტრის თანამშრომლის, 3 ნოტარიუსის) მიმართ. პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურის 214-მა თანამშრომელმა პროფესიული ეთიკის სტანდარტებისა და ინტერესთა კონფლიქტის თემაზე გაიარა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც ეთიკის კოდექსის დარღვევის პრაქტიკული მაგალითები განიხილეს.

2016 წელსა და 2017 წლის პირველ ნახევარში საკონსულტაციო საბჭოს გენერალურმა ინსპექციამ წარუდგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა პროკურატურის 60 მუშაკის მიმართ და მხოლოდ 34 მათგანის მიმართ მიიჩნია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად. ამასთან, ამავე პერიოდში საკონსულტაციო საბჭომ იმსჯელა პროკურატურის 299 მუშაკის წახალისების საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია 108 მათგანის წახალისება. საბჭომ ასევე განიხილა 58 მუშაკის საშუალო მენეჯერულ პოზიციაზე დაწინაურების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 22 მათგანის დაწინაურება.

^[3] იქვე. გვ. 62.

^[4] საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, 25 მაისი, 2017 წელი, მუხლი 24 და 25, [ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/3679145/0/ge/pdf>](https://matsne.gov.ge/ka/document/download/3679145/0/ge/pdf), [ბოლოს ნანახია 10.01.2017].

ამოცანა 3.1.4. პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს. ამოცანის შესრულების მიზნებისთვის დოკუმენტი ორ ძირითად აქტივობას ითვალისწინებს. ესენია: პროკურორებისათვის სხვადასხვა თემაზე

ტრენინგების ჩატარება და მოწმის გამოკითხვის წესის დახვეწა და პროკურორთა გადამზადება. აქტივობის განხორციელების შეფასების თვალსაზრისით, სამოქმედო გეგმის ეს ნაწილი ბევრად უფრო დახვეწილია და ინდიკატორებიც მეტ-ნაკლებად იძლევა შეფასდეს აქტივობის შესრულების ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, სამუშაო ჯგუფმა გადახედა არსებულ ინდიკატორებს, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მომუშავე ჯგუფთან შეთანხმებით მოხდა მისი მოდიფიცირება და აქტივობის შეფასებაც, ანგარიშში, სწორედ ამ განსხვავებული ფორმულირებით არის წარმოდგენილი.

საბოლოოდ გაირკვა, რომ გეგმით გათვალისწინებული ორივე აქტივობა სრულად არის შესრულებული.

აქტივობა 3.1.4.1. პროკურორებისთვის სხვადასხვა თემებზე ტრენინგების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

- 1) ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- 2) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სასწავლო კურსები განხორციელებულია საქართველოს პროკურატურის სისტემის ყველა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებისათვის;
- 3) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე გადამზადებულია პროკურატურის სისტემის სტაჟორები და ახალდანიშნული პროკურორები.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. ტრენინგების ჩატარების გეგმა შემუშავებულია;
2. განხორციელებული ტრენინგების რაოდენობა;
3. ტრენინგების თემატიკის რელევანტურობა სამოქმედო გეგმის მიზნებთან;
4. განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად გადამზადებული პროკურორების % პროკურორთა საერთო რაოდენობაში;
5. თბილისს გარეთ სხვა ტერიტორიული ერთეულების პროკურორებიდან გადამზადებულ პროკურორთა წილი;
6. 2017 წლის ბოლომდე დაგეგმილი ტრენინგების გეგმა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აქტივობის შესაფასებლად, წერილობით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოვითხოვეთ ინფორმაცია როგორც ჩატარებული ტრენინგების თემატიკის, ასევე ტრენინგების გეოგრაფიული არეალის თაობაზე. მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი ყოველი წლის ბოლოს ატარებს ტრენინგ საჭიროებათა ანალიზს, რომლის საფუძველზეც ვლინდება შემდეგი წლის პრიორიტეტული მიმართულებები. ამავე წერილის თანახმად, 2016 წელსა და 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, 1075 მონაწილეს ჩაუტარდა 63 სხვადასხვა ხასიათის და ხანგრძლივობის ტრენინგი, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხები სრულად შეესაბამება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპებს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვაზე იქნება ორიენტირებული. როგორც წერილიდან ირკვევა, განვლილ პერიოდში ტრენინგი ჩატარდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებულ ისეთ უფლებებზე, როგორცაა: სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა და სხვები. მოწოდებული ინფორმაციით ასევე ირკვევა, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 15 აგვისტომდე, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე პროკურორებისთვის განხორციელდა 81 სასწავლო აქტივობა და 8 სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა საქართველოს პროკურატურის სისტემის ყველა ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი. ასევე, 2016 წელს, 62 სტაჟიორს ჩაუტარდა 2 თვიანი მოსამზადებელი კურსი, რომელიც ასევე შეიცავდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2017 წლის ბოლომდე ასევე დაგეგმილია მოსამზადებელი კურსის ჩატარება სტაჟიორებისათვის და ტრენინგები პროკურორებისათვის ისეთ თემებზე, როგორცაა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პერსონალური მონაცემების დაცვა და სხვ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ტრენინგების მიმართულებით პროკურატურას სრულად აქვს შესრულებული სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულება ყველა პროკურორისა და სტაჟიორის ადამიანის უფლებათა მიმართულებით დატრენინგების თაობაზე. ტრენინგის თემატიკით დაფარულია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით არსებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: სიცოცხლის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პერსონალური მონაცემების დაცვა და სხვ.

აქტივობა 3.1.4.2. მოწმის გამოკითხვის წესის დახვეწა და პროკურორთა გადამზადება

პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს მთავარი პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. შესაბამისი ცვლილებები ინიცირებულია, პროკურორები გადამზადებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. გადამზადებული პროკურორების % პროკურორთა საერთო რაოდენობაში;
2. თბილისს გარეთ სხვა ტერიტორიული ერთეულების პროკურორებიდან გადამზადებულ პროკურორთა წილი;
3. გამოკითხვის წესი შემუშავებულია;
4. შემუშავებული წესი დახვეწილია .

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2016-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობით, საქართველოს პროკურატურას ევალუბოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, 2015 წლის დეკემბერში, მოწმის დაკითხვისა და გამოკითხვის წესთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების თაობაზე პროკურორთა გადამზადება და ამ წესის პრაქტიკაში ამოქმედების შემდგომ, გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობისთვის შესაბამისი ცვლილებების ინიცირება. თუმცა როგორც საქართველოს პროკურატურიდან 2017 წლის 4 სექტემბერს, [მონოდეტული ინფორმაციით](#) ირკვევა, 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მოწმის დაკითხვა/გამოკითხვის წესთან დაკავშირებით შესრულდა 21 აქტივობა (მათგან 6 თბილისში და 15 რეგიონებში), მათი მიმდინარეობისას კი გადამზადდა 339 პროკურორი და 90 გამომძიებელი, მათგან 231 თბილისში (171 პროკურორი და 60 გამომძიებელი), ხოლო 198 - რეგიონებში (138 პროკურორი და 30 გამომძიებელი). ტრენინგები მოწმის დაკითხვა/გამოკითხვის ახალი წესის გაცნობას ეხებოდა და მიზნად ისახავდა კანონმდებლობის პრაქტიკაში სწორად აღსრულებას.

2017 წლის 27 დეკემბრის [წერილით](#) კი, ჩვენს კითხვებზე საპასუხოდ, საქართველოს პროკურატურამ გვაცნობა, რომ მოწმის გამოკითხვის წესის დახვეწა და პროკურორთა გადამზადების პროცესი 2017 წელსაც გაგრძელდა. 2017 წლის დეკემბერში პროკურატურის გამომძიებლებმა, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, გაიარეს ტრენინგი დაკითხვა/გამოკითხვის ტექნიკაზე.

ბემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებული ვალდებულება პროკურორთა გადამზადების ნაწილში საქართველოს პროკურატურამ მთლიანად შეასრულა, თუმცა გამოკითხვის წესის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რასაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა, ნაბიჯი არ გადადგმულა. როგორც სამუშაო შეხვედრაზე გახდა ცნობილი, საქართველოს პროკურატურას შესაბამისი წინადადებები არ მოუმზადებია, არც საქართველოს კანონმდებლობაში რაიმე სახის ცვლილების ინიცირება მოუხდენია, რადგან გადაწყვიტეს, რომ პრაქტიკის შესწავლას ამის საჭიროება არ გამოუკვეთია.^[9]

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აქტივობა სრულად არის შესრულებული.

^[9] საქართველოს მთავარი პროკურატურის სამოქმედო გეგმის მესამე თავის შესრულების ანგარიში, გვ. 10, 2018 წლის თებერვალი.

ამოცანა 3.1.5. პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და სასწავლო პროგრამების შემუშავება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 46%

სამოქმედო გეგმის ეს ამოცანა ითვალისწინებს პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას და სასწავლო პროგრამის შემუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ამოცანა პროკურატურის სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ამ ამოცანის და შესაბამისი აქტივობის ანალიზი მიზანთან მის შეუსაბამობაზე მიუთითებს, ისევე როგორც შეუძლებელია განისაზღვროს, სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება, რაც ბიბლიოთეკების შექმნასა და აღჭურვაში და სასწავლო გეგმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში გამოიხატება, რამდენად დაეხმარა ან მომავალში დაეხმარება პროკურატურის სისტემას გახდეს უფრო დამოუკიდებელი, სამართლიანი, ეფექტიანი, გამჭვირვალე და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული.

ამასთან, ამოცანის თანახმად, სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სასწავლო პროგრამების შემუშავება, თუმცა ამ ამოცანით განსაზღვრულ არცერთ აქტივობას სასწავლო პროგრამების შემუშავება არ გაუთვალისწინებია.

სულ, ამ ამოცანის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმით ოთხი აქტივობაა განსაზღვრული, რომელთაგან ერთი - სასწავლო გეგმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება - სრულად არის შესრულებული; ერთი - ბიბლიოთეკის აღჭურვა ლიტერატურით - ნახევარზე მეტი შესრულებულია, ხოლო ელექტრონულ პროგრამებთან დაკავშირებული არცერთი აქტივობა არ შესრულებულა.

აქტივობა 3.1.5.1. სპეციალური ელექტრონული პროგრამის

შექმნა ტრენინგების საჭიროებების გასაანალიზებლად.

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ელ. პროგრამა შემუშავებულია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. მომზადებულია ტექნიკური დავალება;
2. მომზადებული ტექნიკური დავალება შეესაბამება ამოცანასა და მიზანს, კერძოდ უზრუნველყოფს პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას და სასწავლო პროგრამების ეფექტიან შემუშავებას;
3. ელექტრონული პროგრამა შექმნილია;
4. შექმნილი ელ-პროგრამა შეესაბამება ამოცანასა და მიზანს, კერძოდ უზრუნველყოფს პროკურატურის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებას და სასწავლო პროგრამების ეფექტიან შემუშავებას.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აღნიშნული აქტივობის შესაფასებლად, საჯარო ინფორმაციის გადმოცემის მოთხოვნით, წერილით მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. გვაინტერესებდა, შეიქმნა თუ არა ელექტრონული პროგრამის პროექტი ტრენინგ საჭიროების ანალიზისთვის და ვითხოვდით პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებას. ამასთან, აქტივობის ხარისხიანად შესაფასებლად, ასევე ვითხოვეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით გამოიყენებოდა ელექტრონული პროგრამა, რამდენმა პროკურორმა შეავსო კითხვარი მისი შექმნიდან დღემდე და პროკურორების მოთხოვნები/საჭიროებები რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა.

საქართველოს პროკურატურიდან 2017 წლის 27 დეკემბერს [მიღებული წერილის](#) თანახმად ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის პროგრამის პროექტზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, მომზადებულია პროგრამის კონცეფცია და წერილის გამოგზავნის დროისათვის მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური დავალების პროექტზე. ამავე წერილის თანახმად, საქართველოს პროკურატურაში ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული პროგრამის შექმნა 2018 წლიდან იგეგმება.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმის თანახმად, პროკურატურას 2016-2017 წლებში უნდა შეექმნა ელექტრონული პროგრამა, წერილი კი, დღეისათვის მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას იუწყება და თვით პროგრამის შექმნა 2018 წლისთვის იგეგმება, მივიჩნევთ, რომ აქტივობა არ შესრულებულა.

აქტივობა 3.1.5.2. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია;

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ანდა შესაბამისი მიმართულება გათვალისწინებულია პროკურატურის ერთიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში;
2. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ასახავს სასწავლო ცენტრის განვითარებისათვის საჭირო მიზნებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს და დაგეგმილი აქტივობები დროში ადეკვატურადაა განწერილი

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აქტივობის შესაფასებლად, წერილობით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და ვთხოვეთ ეცნობებინათ, შემუშავდა თუ არა სასწავლო ცენტრის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩვენთვის ამ დოკუმენტის ასლი მოეწოდებინათ. სამწუხაროდ, საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული, 2017 წლის 27 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტი, არ შეიცავს პასუხს ამ კითხვაზე, თუმცა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრისას არაერთხელ გაიჟღერა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და

სამოქმედო გეგმა მოიცავდა ყველა მიმართულებას, მათ შორის, სასწავლო ცენტრის საქმიანობის განვითარების თვალსაზრისითაც.

სწორედ ამიტომ, აქტივობის შესაფასებლად გაცეცანით მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პროკურატურის სტრატეგიას, რომლის მე-12 თავით საქართველოს პროკურატურა თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. ამისათვის კი საქართველოს პროკურატურას 2017-2021 წლებში, დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება მიზნობრივი ტრენინგების მეშვეობით. იგეგმება ისეთი ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, რომელიც აგებული იქნება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებზე და ა.შ.¹⁹

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგია გათვალისწინებულია საქართველოს პროკურატურის სტრატეგიაში და აქტივობის ეს ნაწილი სრულად არის შესრულებული. თუმცა, რამდენად ასახავს სტრატეგია სასწავლო ცენტრის განვითარებისთვის საჭირო მიზნებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. კერძოდ:

სტრატეგიის ზემოთ ხსენებული თავის (იგულისხმება თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება) მიზანია:

- პროკურატურის სისტემის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფა;
- პროკურატურის სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;
- კონკრეტულ დანაშაულებზე გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- ერთგვაროვანი პრაქტიკისა და მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა სამოქმედო გეგმით პროკურატურის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- თანამშრომელთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- იურიდიული განათლების პოპულარიზაცია და საუნივერსიტეტო წრეებთან თანამშრომლობა;
- თანამშრომლებისთვის მოქნილი ელექტრონული პროდუქტების განვითარება.

ამ მიზნების მიღწევის გზებად კი მითითებულია თანამშრომლების მომზადება/გადამზადება; ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა; მოქმედი მენეჯერებისა და მომავალი ლიდერების განვითარების პროგრამის დანერგვა; მენტორების პროგრამის დანერგვა და ამოქმედება; ახალი ელექტრონული პროდუქტების დანერგვა; სტუდენტებისათვის სასწავლო აქტივობების განხორციელება და რანგირების სისტემის რეფორმა.

სტრატეგიაში მითითებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგია და მისი 12.6 თავი სრულად ასახავს სასწავლო ცენტრის განვითარებისათვის საჭირო მიზნებს - ახალი ელექტრონული პროგრამის დანერგვას, ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროცესების მართვის გასამართლებლად, ასევე ითვალისწინებს პროკურორების გადამზადებას ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებში, როგორცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სასამართლო უნარ-ჩვევები, ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობა, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ა.შ. თუმცა სამოქმედო გეგმის არასატაროობის გამო, მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევაფასოთ, რამდენად ადეკვატურად არის გაწერილი დროში აღნიშნული აქტივობები. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული აქტივობა სრულად შესრულებულია.

^[1] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები), გვ. 55. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://pog.gov.ge/res/docs/sagartvelosprokuratuisstrategia.pdf>>, [ბოლოს ნანახია 15.01.2018].

აქტივობა 3.1.5.3. ბიბლიოთეკის აღჭურვა შესაბამისი ლიტერატურით

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ბიბლიოთეკა აღჭურვილია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. დამატებული ლიტერატურის რაოდენობა;
2. დამატებული ლიტერატურის შესაბამისობა საპროკურორო აქტივობასთან.

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 80%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აქტივობის შესრულების შესაფასებლად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. გაგზავნილ წერილში ვითხოვდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი წიგნით აღიჭურვა პროკურატურის ბიბლიოთეკა 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 ივლისამდე და კონკრეტულად რა სახის ლიტერატურა დაემატა ბიბლიოთეკას. ჩვენი მოთხოვნის პასუხად, 2017 წლის 4 სექტემბრისა და 27 დეკემბრის [წერილით გვეცნობა](#), რომ ბიბლიოთეკას 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დაემატა 22 დასახელების სამართლებრივი ხასიათის წიგნი.

აქტივობის მეორე ინდიკატორთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ წერილში მითითებული ლიტერატურა სრულად შეესაბამება საპროკურორო აქტივობებს და სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ არსებული ლიტერატურა სრულად

არ ასახავს პროკურატურის საქმიანობებს, როგორც სამართლიანი და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, რის გამოც მიგვანია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა სრულად არ შესრულებულა.

აქვე გვსურს რეკომენდაციით მივმართოთ პროკურატურის სასწავლო ცენტრს, რომ ბიბლიოთეკას დაემატოს ლიტერატურა (მათ შორის უცხოენოვანი), ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტებით, როგორცაა წამების აკრძალვა, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს, გამომხატვის, რელიგიის, შეკრებისა და გაერთიანების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც, ჩვენი აზრით, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტია.

აქტივობა 3.1.5.4. ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება:

- პროკურატურა

ინდიკატორი:

მონიტორინგის მიზნებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები მოდიფიცირებულია, ხოლო საქმიანობის შემთხვევაში მათთან ერთად დამატებულია ალტერნატიული ინდიკატორებიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი:

1. ბიბლიოთეკა შექმნილია.

დამატებული/მოდიფიცირებული ინდიკატორები:

1. შექმნილია ელექტრონული ბიბლიოთეკა;
2. ბიბლიოთეკაში ატვირთული ლიტერატურის შესაბამისობა აქტივობასთან.

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2016-01-01

ბოლო ვადა: 2017-12-31

შეფასება

აქტივობის შესრულების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. გაგზავნილ წერილში ვითხოვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, შექმნილია თუ არა ელექტრონული ბიბლიოთეკა, რამდენი წიგნია ხელმისაწვდომი ელექტრონულ ბიბლიოთეკაში და კონკრეტულად რა სახის ლიტერატურა აიტვირთა ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

ჩვენი მოთხოვნის [პასუხად](#), გვეცნობა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკის პროგრამის პროექტზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, მომზადებულია პროგრამის კონცეფცია ევროპის კავშირთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის შემუშავებაზე, კერძოდ კი, ტექნიკური დავალების პროექტზე. ამავდროულად, ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა დაგეგმილია 2018-2019 წლისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივობის შეფასების ინდიკატორად მითითებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, ხოლო მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ დღეისათვის ასეთი პროგრამა შექმნილი არ არის, აღნიშნული აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.